

16/02/2024



MES 5 24 0000179610

## საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 16.02.2024

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: **14:35 სთ**

საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი

საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 27<sup>2</sup> -ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

- 1. გოდერძი ბუჩაშვილი** -მპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს“ ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი- **საბჭოს თავმჯდომარე;**
- 2. რატი რატიანი** -მპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის“ საჯარო მიმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი- **საბჭოს მდივანი;**
- 3. ლაშა ჩხარტიშვილი** -სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
- 4. ერმილე მესხია** -სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
- 5. ნინო ბაქრაძე** -სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
- 6. თინათინ ჭაბუკიანი** -სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
- 7. მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.
- 8. ქეთევან ქუთათელაძე** -სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
- 9. გურანდა ჭელიძე** -მპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;

10. **თამარ სირაძე** -სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;

11. **მარინა ქავთარაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი;

12. **ხათუნა თოდაძე** -სსიპ -თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;

13. **ნინო ღაღანიძე** -სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი)წარმომადგენლები:**

სახელი, გვარი	სტატუსი
გვანცა ძიძიგური	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.**

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 14 თებერვლის № 172231 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სკანდინავისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 14 თებერვლის № 172245 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „რომანული ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 16 თებერვლის № 183025 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლიტერატურათმცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 18 აპრილის № 427055 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;
5. სსიპ - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 26 ოქტომბრის № 1037986 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;
6. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის “ზიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ 2023 წლის 19 დეკემბრის №1735894 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
7. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სურსათის ტექნოლოგია და უვნებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 08 აგვისტოს №975465 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის №41757 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილსა და დანართში ტექნიკური ხარვეზის გასწორება;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 12 იანვრის №21586 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილსა და დანართში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.

ცენტრის წარმომადგენელმა, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა აღნიშნა, რომ სამსახურმა გააკეთა საბჭოს ოქმებისა და გადაწყვეტილებების მონაცემების მონიტორინგი, რომლის საფუძველზე, გამოიკვეთა საკითხები, რომლებიც საჭიროებს დოკუმენტებში ტექნიკური ხარვეზების გასწორებას/ცალკეული მიმართულებით დაზუსტებას. ასეთივე საკითხები გამოიკვეთა დაწესებულებებთან თანამშრომლობის შედეგად. შესაბამისად, სამსახურის თხოვნით, დღის წესრიგი განისაზღვრა წარმომადგენილი სახით.

**1. საკითხი - სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის “ზიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ 2023 წლის 19 დეკემბრის №1735894 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;**

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხილება**  
**არა კი**

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცენტრში შემოსულია - სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის 165750, 15/02/2024 წერილი, რომლის შესაბამისად აღნიშნულია, რომ აკრედიტაციის საბჭოს აკადემიური საბჭოს

2023 წლის 19 დეკემბრის №1735894 გადაწყვეტილების შესაბამისად, დადგენილების შესაბამისად, “ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს მიეცათ მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე - 2024 წლის 26 თებერვლამდე, სწავლის გაგრძელების უფლება. თუმცა დაწესებულების აკადემიურმა საბჭომ განიხილა სტუდენტთა საჭიროებები, მიიღო დადგენილება აკადემიური კალენდრის განსაზღვრის შესახებ, რომლის შესაბამისად, სემესტრის დასრულების ვადად მითითებულია 20 მარტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრის მოსაზრებით, აკრედიტაციის საბჭომ სასურველია განიხილოს დაწესებულების შუამდგომლობა.

დამატებით აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 19 დეკემბრის №1735894 დეკემბრის სათაურში არის ორთოგრაფიული შეცდომა დაშვებული, ამიტომ, სასურველია გასწორდეს.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, წარმოედგინათ თავიანთი მოსაზრებები ან შეკითხვები.**

საბჭოს მხრიდან დამატებითი მოსაზრებები/კითხვები არ დაფიქსირებულა.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

**სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის “ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ 2023 წლის 19 დეკემბრის №1735894 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;**

**კენჭისყრისშედეგი:**

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

1. ცვლილება შევიდეს აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 19 დეკემბრის №1735894 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის “ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლი სგაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ“

2. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის “ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 19 დეკემბრის №1735894 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და სტუდენტებს მიეცეთ უფლება მიმდინარე სასწავლო სემესტრი დაასრულონ 2023 წლის 06 დეკემბრიდან 2024 წლის 20 მარტის ჩათვლით;

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შემდეგი საკითხები, რომლებიც ეხებოდა ტექნიკური ხასიათის ცვლილების განხორციელებას აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებებში, სასურველი იყო, საბჭოს ერთად განეხილა. ამიტომ, სთხოვა ცენტრის თანამშრომლებს, წარმოედგინათ ყველა განსახილველი საკითხი და გადაწყვეტილებებში ხარვეზების გასწორების საჭიროებები:

ცენტრის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 14 თებერვლის № 172231 გადაწყვეტილების დანართში, მისანიჭებელი კვალიფიკაცია სააკრედიტაციო განაცხადის და ექსპერტთა დასკვნის შესაბამისად, მიეთითოს შემდეგი სახით:

„ა) ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი  
ბ) ლექსიკოგრაფიის მაგისტრი“;

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**  
არა კი

**თვითაცილება განაცხადა მამუკა ხუსკივაძემ.**  
**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**  
**კენჭისყრისშედეგი:**

მომხრე - 12  
წინააღმდეგი - 0

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სკანდინავისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 14 თებერვლის № 172245 გადაწყვეტილების დანართში მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სააკრედიტაციო განაცხადის შესაბამისად მიეთითოს შემდეგი სახით:

სკანდინავისტიკის მაგისტრი“;

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**  
არა კი

**თვითაცილება განაცხადა მამუკა ხუსკივაძემ.**  
**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**  
**კენჭისყრისშედეგი:**

მომხრე - 12  
წინააღმდეგი - 0

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „რომანული ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 16 თებერვლის № 183025 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

"დაკმაყოფილდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „რომანული ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულობით";

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

არა კი

**თვითაცილები განაცხადა მამუკა ხუსკივაძემ.**

**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**

**კენჭისყრისშედეგი:**

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

1. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 26 ოქტომბრის № 1037986 გადაწყვეტილების დანართში მისანიჭებელი კვალიფიკაცია მიეთითოს შემდეგი სახით:

„ინჟინერიის მაგისტრი საჰაერო ხომალდის ტექნიკურ ექსპლუატაციაში“;

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

**არა კი**

**კენჭისყრისშედეგი:**

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ლიტერატურათმცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 18 აპრილის № 427055 გადაწყვეტილების დანართში მისანიჭებელი კვალიფიკაცია მიეთითოს შემდეგი სახით:

„ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ფილოლოგიაში“.

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

**არა კი**

**კენჭისყრისშედეგი:**

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სურსათის ტექნოლოგია და უვნებლობა" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 08 აგვისტოს გადაწყვეტილების დანართში მისანიჭებელი კვალიფიკაცია მიეთითოს შემდეგი სახით:

„სასურსათო ტექნოლოგიის მაგისტრი“;

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

**არა კი**

**კენჭისყრისშედეგი:**

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის № 41757 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და სარეზოლუციო ნაწილის გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დაკმაყოფილდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით (2028 წლის 1 ივლისი) 2 წელიწადში მონიტორინგის განხორციელების პირობით.“

ასევე, შევიდეს ცვლილება აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის № 41757 გადაწყვეტილების დანართში, და აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად მიეთითოს: „2028 წლის 1 ივლისი“;

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**  
**არა კი**

**თვითაცილება განაცხადა ერმილე მესხიამ და თამარ სირაძემ.**

**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**

**კენჭისყრისშედეგი:**

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 12 იანვრის № 21586 გადაწყვეტილებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. შევიდეს ცვლილება აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 12 იანვრის № 21586 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში შევიდეს ცვლილება და გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„1. დაკმაყოფილდეს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2028 წლის 1 ივლისამდე 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.“

2. შევიდეს ცვლილება აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 12 იანვრის № 21586 გადაწყვეტილების დანართში, და აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად მიეთითოს: „2028 წლის 1 ივლისი“;

3. შევიდეს ცვლილება აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 12 იანვრის № 21586 გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილში და მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

“ცენტრის 2023 წლის 16 აგვისტოს №1000964 ბრძანების საფუძველზე, სსიპ- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2023 წლის 30 ოქტომბრის №1458363 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დაწესებულებაში ვიზიტი „ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით, განახორციელა 2023 წლის 27 ნოემბერს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად”.

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

არა კი

თვითაცილება განაცხადა ქეთევან ქუთათელაძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

კენჭისყრისშედეგი:


მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საბჭომ დააკმაყოფილა ცენტრის შუამდგომლობა.

საბჭოს სხდომა დასრულდა 2024 წლის 16 თებერვალს 14:35 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების  
აკრედიტაციის საბჭო  
საბჭოს მდივანი  
რატვიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის  
საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ბუჩაშვილი გოდერძი

